ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4404947

ნომერი: AR1666178

თარიღი : 06.03.2019

გაცემის თარიღი : 07.03.2019

გაცნობის თარიღი : 07.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ატენის ქუჩა, N 16ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ასათიანი პ/ნ 01024023497
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 06 მარტს №AR1666178 განაცხადით მომართა გიორგი ასათიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 09

ოქტომბრის №4209656 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ატენის შესახვევის N16-ში, ატენის ქ. N17-ში,ატენის ქ. N19-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.14.011.083) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 16 იანვრიდან 2018 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ამხანაგობა „ატენი-19“ (205486421), ფიზიკური პირი: ბაქარ გეგელაშვილი (01024037601).
სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3778683 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს "ჰოვერი" (405287032), ფიზიკური პირი: რუსუდან ველიძე (პ/ნ: 01026004005).
2018 წლის 19 სექტემბრის NAR1631950 განცხადებით წარმოდგენილია ამხანაგობა „ატენი-19“-ს (205486421) და შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულება და ამხანაგობა „ატენი-19“-ის თანხმობა დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
2019 წლის 06 მარტს №AR1666178 განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) და ამხანაგობა „ატენი19“-ის (205486421) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადების რეგისტრაცია – №882019097104, მომზადების თარიღი: 11/02/2019 17:45:51) თანახმად, N01.14.14.011.083 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „ატენი-19“ (205186421) საკუთრებას, რომლის თავმჯდომარეს წარმოადგენს ბაქარ გეგელაშვილი (01024037601). სამსახურში წარმოდგენილია ბაქარ გეგელაშვილის მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, გიორგი ასათიანისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N181214372, რეგისტრაციის თარიღი: 02.10.2018).
განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) დირექტორის, რუსუდან ველიძის (პ/ნ: 01026004005) მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერთან" (405287032) ერთად ამხანაგობა „ატენი-19“-ის (205486421) დაფიქსირებასთან დაკავშირებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N190222680, რეგისტრაციის თარიღი: 01.03.2019)
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ამხანაგობა „ატენი-19“-ის (205486421) საკუთრებას, რომლის წარმომადგენელიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით და ასევე, წარმოდგენილია შ.პ.ს "ჰოვერი"-ს (405287032) შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შ.პ.ს "ჰოვერთან" (405287032) ერთად, ამხანაგობა „ატენი-19“-ის (205486421) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებაში და დამკვეთებად დაფიქსირდნენ: შ.პ.ს "ჰოვერი" (405287032) და ამხანაგობა „ატენი-19“ (205486421).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ოქტომბრის №4209656 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge